№ 163 12 მარიამობისთვე, შაბათი 1866—1878 12 მარიამობისთვე, შაბათი № 163

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაური

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდის ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

საქართველო

დღიური

*** როგორც ტელეგრამები და გაზეთებიც გვაცნობებდნენ, დღეს, შაბათს, უნდა შევიდნენ ჩვენი ჯარები ბათუმში.

Ბეჯითი, ოფიციალური ცნობა ამ საგანზედ ჯერ არ არის გამოცხადებული და ამიტომ შესაძლებელია, რომ ტელეგრამებისა და გაზეთებისაგან მოტყუებული დავრჩეთ.

Მაგრამ, რაც უნდა იყოს, უეჭველია, რომ ჩვენი ჯარები ამ დღეებში უეჭველად დაიწყებენ ბათუმისკენ გამგზავრებას.

Ვინატროთ, რომ ეს ბათუმისა და იმის მაზრის დაჭერა რუსის ჯარებისაგან მშვიდობიანად. სისხლის დაუღვრელად მომხდარიყოს..

*** როგორც ჩვენს გაზეთში (№ 160) იყო ამას წინათ გამოცხადებული, სურამის მომრიგებელ სასამართლოს სახლის გადაწვაში და 2,000 მანეთისა და ზოგიერთ ნივთების მოპარვაში დამნაშავედ აღმოჩენილა ამავე სასამართლოს სეკრეტარი უფ. Ბასეინოვი, რომელიც, როგორც კორრესპონდენტი გვწერდა, უკვე დაატუსაღეს და რომელსაც 1,900 მანეთი ფული აღმოუჩინეს.

„Თფილისის მოამბეში“ იწერებიან ახლა, ამ ბოროტ-მოქმედების მიზეზი ის იყოვო, რომ სეკრეტარს ვიღაც ქალი ჰყვარებიაო, რომელსაც იმისთვის გამოუცხადებიაო, რომ სანამ შეძლებას არ შეიძენ, მანამ ცოლად ვერ წაგყვებიო.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ბულვარი შესამჩნევლად გაცხოველებული არისო, რადგან მუდამ საღამოობით და დღისითაც ჩვეულებრივზე უფრო მომეტებული ხალხი დასეირნობს იქაშიო. Ამის მიზეზს ჩვენი კორრესპონდენტი იმას ამბობს, რომ, უფ. ხმოვანის ბ. Ლოლაბერიძის თაოსნობით, ხსენებულ ბულვარში ფარნები (18) და ხალხისათვის დასასხდომი სკამები დაუდგამთ.

*** Ოსეთიდამ იწერებიან „Თერგის უწყებებში“, რომ ცუდი ამინდისა და მუშა ხალიხს სიძვირის გამო მომეტებულ ნაწილს სოფლებში ხალხის სათიბავი ადგილები გაუთიბავად და პურისა და ქერის ყანებიც მოუმკელად დარჩენიათ.

*** ზემოხსენებულივე გაზეთის სიტყვით, Ვლადიკავკავის ახლო-მახლო ადგილებში, სადაც მოასწრეს თივის მომკა საშინელი და გახშირებული წვიმებისა და შემდეგ მზის წყალობით, ძნა-დაუდგმელი დარჩათ და სრულებით გაუფუჭდათ.

Ამის გამო მთელს Თერგის ხეობაში ყველაფერი გაძვირდა თურმე და წლევანდელ ზამთარს ძალიან ცუდს და ძვირს მოელიან.

*** ზამთარში, როდესაც ქუჩებში მაწანწალა და უპატრონო ძაღლებისაგან ქალაქის ხალხს თითქმის არავითარი ვნება არ ჰქონდა, ქალაქის გამგეობამ იჯარით მიანდო ჯერ ვიღაცა ფრანცუზს და მერე სომეხს ამ ძაღლების დაჭერა და დახოცვა. Ახლა კი, როდესაც ამ გვარ ძაღლებისაგან უფრო მომეტებული შიში არის, რადგან ამ სიცხეში ისინი ადვილად ბრაზდებიან, ახლა, ვამბობთ, ეს „ძაღლის ოსტატები“ სრულებით აღარ ჩანან ქალაქში თუმცა ზოგიერთი ქუჩები ამ მაწანწალა ძაღლებით სრულებით გავსებული არიან.

Ნუ თუ იმისთვის, რომ ქალაქის გამგეობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, აუცილებელად საჭიროა, რომ ბრაზიანმა ძაღლებმა რამდენიმე კაცი დაკბინოს?...

*** „Თფილისის განცხადებანი“ გვაცნობებენ, რომ ქალაქის გამგეობის განკარგულებით, მუხრანიანთ ხიდს (თხრილს) მუხრანსკის სახლიდამ მტკვრამდინ ხურავენო. Მთელს ამ მანძილზე—50 საჟენზე—დახურული გუმბათი უნდა გააკეთონ, რომლის ქვეშ არხში გაივლის ქალაქის სიბინძურე და წყალი. Ამ საქმის შესრულება ქალაქს 22,000 მანეთად უჯდებაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, 5 Აგვისტოს. „დროების“ მკითხველებს ეხსომებათ სოფ. Ნაფარეულის მღვდლის მამა მიხეილ ჩიკვაიძის და ერთი მღვდლის მამაცური ომი; ისიც ეხსომებათ, რომ ამ ომში მღვდელი დამარცხებულა.

Ჭეშმარიტებაა, რომ ომში დამარცხებული მხარე მორიგების დროსაც წაგებული დარჩა. Მაგრამ არა იშვიათად მოხდება ხოლმე ისეთი ომებიც, სადაც მორიგების დროს დამარცხებული იგებს საქმეს.

Თქვენ იცით, რომ იმათ შეტაკება ჰქონდათ; მაგრამ ის კი არ იცით—რითი დაბოლოვდა ეს საქმე.

Მამა ჩიკვაიძის გმირობამ, ზოგიც მღვდლის მეცადინეობით და ზოგი გაზეთების წყალობით, უმაღლესი მთავრობის ყურამდისინ მიაღწია. Მთავრობამ, რასაკვირველია, გამოძიება დანიშნა და ეს გამოძიება მიანდო მამა მიხეილ ხელაშვილს.

Ეს გამომძიებელი Თელავში სცხოვრობს დამე, რასაკვირველია, Თელავში მცხოვრებს, არ გამიძნელდებოდა საქმის მსვლელობის გაგება.

საქმე იმაშია, რომ მამა მიხეილს (ხელაშვილს) მამა მიხეილმა (ჩიკვაიძემ) პირველი გამოძიების დროსვე აბები ჩააყლაპა, და ამ აბებმა ისეთი ზედ-მოქმედება იქონიეს ხელაშვილზედ, რომ გამოძიება ფიცით უნდა მოეხდინა და იმან კი მორიგებით გაათავა!

მაგრამ, მთავრობა არ დაკმაყოფილდა: და საქმე უკან დაუბრუნა, რომ, გიბძანებ ფიცით ჰკითხო მოწმეებსაო.

წავიდა გამომძიებელი ხელაშვილი სოფ. ნაფარეულში მეორე გამოძიების მოსახდენად; მაგრამ, დასწყეველოს ღმერთმა ეშმაკი, რომ არც მაშინ მისცა მოსვენება ი აბებმა! რად ჩამყლაპე, თუ არ შეგეძლო მონელებაო,—ამოსჩურჩულებდნენ მუცლიდამ (იქნება ჯიბიდამაც, მეტადრე თუ ხელ-მეორეთ ახალი ჩაყლაპულებიც იყვნენ). თუმცა დარწმუნებული იყო, რომ მთავრობა მორიგებას არ მიიღებდა, მაგრამ მაინც კიდე მორიგება მოახდინა. უნდა მოგახსენოთ, რომ იმ მორიგებას ცხადად დაუნახვებია დამსწრეებისთვის—და განსაკუთრებით მამა ჩიკვაიძისთვის—თუ რამდენად ულირს ზოგს ამისთანა ომში გამარჯვება.

მორიგება მოახდინა-მეთქი; ისიც მოგახსენეთ, რომ ამ გვარ მორიგებას ვერ წარუდგენდა მთავრობას, და აბა აბებმა უკანასკნელად იქ იმუშაევს, აი. წამოიღო თელავში ეს ქალალდები, დახედა საქმეს და მოფიქრების შემდეგ დაბრუნა ეს ქალალდები მოწმეებთან, აქაო მაშინ შევსცდით, არ მოგვაგონდა და ეხლა მოაწერეთ ხელი, რომ ფიცით გკითხებიათო. აი, რა დღეს დააყენებს თურმე კაცს უზომოდ და უდროო-დროს ჩაყლაპული აბები!—ხელი მოაწერეთ და გამოგზავნეთ, რომ მთავრობას გაუგზავნო, მოვრჩეთ დაეიდარაბას, მუცლის გვრემასაო!

ზოგს შეცდომით დაუფიქრებლად მოეწერათ ხელი, ზოგნიც კიდე აქ, თელავში, დაიბარა ლუ არ ვიცი ყველას მოაწერინა ხელი თუ არა. ის კი ვიცი, რომ პირველად შეცდომით მომწერ მოწმეებსა მეორე დღესვე შეუტყობინებიათ, რომ, როგორც თქვენ, აგრეთვე ჩვენც უფრო, უსწავლელი გლეხები შევსცდით და ხელი მოვაწერეთო, რადგან თქვენ განაც სხვანაირად მივიღეთ ამბავიო, და თუ საქმე იქნა, ჩვენი იმედი ნუ გექნებათ; წინააღმდეგ, ჩვენ მეორეს ბილეთს მივსცემთ, რომ როგორც უნდა საქმე აწარმოოს; ჩვენ შემწეობას მივსცემთო.

ამ ფაცა-ფუცში მეორესაც გაუგია, რომ ყელსა მჭრიანო და გამოქცეულა ნაფარეულიდამ თელავში: ერთი მივიდე, გამომძიებელს ვკითხო, ჩემი საქმე როგორ არისო.

მაგრამ ნაცვლად ჯეროვანი პასუხის მიცემისა მამა მიხეილ (ხელაშვილი) გაჯავრებია მეორეს, ბევრიც ულანძღავს, პრისტავისთვინაც კაცი გაუგზავნია, რომ კადნიერი გლეხი ციხეში დავაჭერინოო. მეორეს პატა ხანს ყური დაუდია ამ მამობრივი ლანძღვისთვის, მერე გამოსთხოვებია და იმ დღესვე თელავისში წასულა—აგება საქმეს მივასწროო.

მეგრე იყო საქმე. მეორის თელავისში წამოსვლამ ბევრი შეაფიქრა და სცდილობდნენ როგორმე გაექარწყლებინათ ეს შეჩვენებული ქალალდები; ერთმა მოასწრო კიდეც ჩუმათ თავის სახელის და გვარის მაგრატლით განადგურება. საქმე დადგა, რასაკვირველია, და მესამედ გამოძიება მოახდინეს, მაგრამ ფიცით. ეხლა უნდა მთავრობას აცნობონ და შემდეგ რაც-იქნება, ეს-თქვენ გაცნობებთ. . .

თელაველი ვინმე

წერილი რედაქტორთან

—

უფ. რედაქტორო! მე წავიკითხე თქვენს პატივცემულს გაზეთში, № 130, წერილი ხონიდამ ერთი ხონის შკოლის მასწავლებელთაგანის, რომელიც მიხსენიებს მე ცუდის მხრით; ამისათვის საჭიროდ ვრაცხ, სიმართლის ალაღგენად და ჩემი პატივის დასაცველად, მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა და თქვენ, უფ. რედაქტორო, გთხოვთ ამ ჩემ ორიოდე სიტყვას დაუთმოთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთის ფურცელზედ.

შემდეგის სიტყვებით იწყებს თავის წერილს უფ. ხონის შკოლის ერთი მასწავლებელთაგანი:

„მას მერმეთ რაც გაიხსნა ხონის ორკლასიანი სასწავლებელი, ყოველთვის და განსაკუთრებით 1876-წელს პირველ კლასში იყო ძრიელ სიეიწროვე. ამ დროს ხონში შეხვდა ყოფნა ძუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორს უფ. ტროიეს, რომლის რჩევითაც გაიხსნა აქ პირველი კლასის მეორე განყოფილება და მასწავლებლად დანიშნეს უფ. ჩხენკელი.“

ეს სრულიად ჭეშმარიტება არის და უფროც პატიოსნება იქნებოდა უფ. ერთი მასწავლებელთაგანის მხრით, რომ ეგრე ჭეშმარიტებით დაესრულებია თავის წერილში საუბარი.

მართლაც, როგორც თვითონ ამ-

ფელეტონი

ქართველები და ლოგიკა

— ეა! წამოიძახებს ამერი.

— იმე! ზაიკვირვებს იმერი.

— ეს რა ამოურჩევია ამას სალაპარაკოთ! ლებუაზედ კიდეველა ილაპარაკებს კაცი? მოცლილი რო იქნება კაცი, ის არის, თუ არა და ლოგიკა რა არის, ამაზედ ლაპარაკი რა უნდა იყოს! ამისთანა უბრალო რამ რო არ ამოერჩია, განა სხვა უმფრო საინტერესო რამე არ არის ქვეყანაზედ სალაპარაკო: აი ომის ამბავი, კონგრესი, ინგლისი და ოსმალეთი, ბათუმი, ვინ ისარგებლა აწინდელი ომით,—ერთი სიტყვით, რამდენი რამეა! . .

მართალი ბრძანდებით, ჩემო პოლიტიკოსო მკითხველო, მარამ ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ლოგიკა მაინც-დამაინც არ არის იმისთანა უბრალო საგანი, რომ არ ღირდეს ლაპარაკად. აბა დაუფიქრდით, რა არის ლოგიკა და რა მწარმოებელი რამეა ქართველის ცხოვრებაში?

იცი—რა არის ქართველისათვის ლოგიკა? იგი ქართველისათვის შეადგენს ისეთს საგანს, უ-რომლისოთ მას, როგორათაც თევზს უ-წყლოთ, ცხოვრება არ შაუძლიან; დედა—ლოგიკა ქართველის სურსათი და ძალა არის, იგი გაუშორებელი მის სუფრის მასპინძელია—ყოველისფერია!

აი რა არის ლოგიკა!

საქართველოს რომელ მხარეზედაც გნებამთ, წაბძანდით: ქართლში, კახეთში, იმერეთში, ზურიაში, ოდიშში—ყველგან ნახამთ, რომ იქ მცხოვრებნი უმეტეს ნაწილათ იზრდებიან მარტო ლოგიკითი.

რა მიზეზია? აი მოგახსენებთ:

პირველი, რომ ქართველი თავიდანვე არ მისდევდა გასტრონომიას, არ იყო მონა გემოვნებისა. ოლონდა კი გაეტენა რამეთი მუცელი, იმას ალარ დასდევდა, რა არის და რა თვისებისაა; იგი კმაყოფილი იყო, თუ-კი მუცელი მას არ აწუხებდა. მას არა სცალოდა სხვა-და-სხვა საჭმელის მომზადებისთვის. ძალებს ძრიელ ეზარებოდათ, არც სცალოდათ, რომ ეზრუნვათ საჭმელისათვის კერიის ან ბუხრის წინ; ამის გამო არჩევდნენ იმისთანა ხორაგს, რომელიც უმფრო ჩქარა და მათის უზრუნველათ მომზადებოდა მარტო ცეცხლის საშუალებით.

ამ შემთხვევაში ლოგიკისთანა არა იყო რა. ან კი სადა სცალოდათ ქართველებს საჭმლის კარგათ გაკეთებისათვის: მათი ცხოვრება სულ შრომისა და ბრძოლისა იყო. ბაცნი წავიდოდნენ მინდერათ ანუ ლაშქრათ, ქალნი კი სულ ოჯახის საქმეს უნდებოდნენ.

აი როგორ სურათს წარმოადგენდა მაშინ ქართველის სადგომ: ეზოში ანუ სახლის წინ თამაშობენ ბავშვები, დარბაისელნი უსხედან დერეფანში, ან კარებ წინ. საქმეს,—ზოგი ქსელს, ზოგი ჯარას ატრიალებს, სხვანი საფეიქროს ეხვევიან და ქსოვენ თუ ჩოხას, თუ აბრეშუმის პერანგს, კაბას და სხვას; იქ ჯარა ტრიალებს და ბჟრიალებს—აბრეშუმს იღებენ; აქ დაშნებს გააქვთ ბაკაბუკი. ბარ გაღებული სახლიც არ არის ცარიელი: იქ აკვანში წევს თოთო ბავშვი; მის დაი, ლამაზი, შავთვალ-წარბა

ბობს უფ. ერთი მასწავლებელთაგანი 1876-ა წელს იყო მეორე პირველი კლასის განყოფილება განხსნილი და მასწავლებლად ამ განყოფილებაში სახალხო შკოლების დირექტორის უ. ტროე-საგან ვიყავი დანიშნული მე და იმ დროიდამ მოკიდებული, ვიდრე ამა მდგომარე 1878 წლამდე დავდიოდი დროს გამოუშვებლად. თუმცა ბოლო-დროს ავათმყოფობამ დამიხშირა, მაინც არ მახსოვს, რომ ერთი კვირა ერთად გამეშვას, ამაში დასარწმუნებლად მიუთითებ უფ. ერთ მასწავლებელთაგანს იმ ჟურნალზედ, რომელშიაც ხელს გვაწერინებდა უ. ხონის შკოლის ზედამხედველი—თუ რამდენს უროკს (გაკვეთილს) გამოუშვებდით. ეს კი მართალია რომ 1878-ის წლის პირველ იანვრიდამ დამოკიდებული, ჩემი მძიმე ავათმყოფობის გამო, არ მივლია და კიდევაც სრულიად მივანებე თავი.

ამის შემდეგ ძლიერ მიკვირს—საიდამ დაესიზმრა უფ. ერთს მასწავლებელთაგანს ჩემი თითო-თვეობით უმსვლელობა შკოლაში?!...

ამასთან ბრძანებთ კიდევ—„რადგან შაგირდები ცოტანი იყვნენ (ესე იგი 65) და მათი სწავლება შეეძლო ერთ მასწავლებელსო, ამისთვის თანხმად დირექტორის მოწერილობისა, პირველი კლასის ორივე განყოფილება შეაერთეს და უფ. ჩხენკელი თავისუფალი გახადეს მასწავლებლობისაგან, რომ მისთვის სასწავლებელს ტყვილათ არ ეძლია ორმოცი თუმანიო“ და სხვანი....

ემატა თქვენს ტყუილებს, უფ. ერთო მასწავლებელთაგანო. ვინ გამხადა მე თავისუფალი მასწავლებლობისაგან? სხვამ გამხადა თავისუფალი, თუ მე განვითავისუფლე თავი? იქნება იმას იტყვით, რომ უფ. დირექტორმა მოიწერა, განათავისუფლეთ ჩხენკელიო. ოთხი თვის განმავალობაში არასფერი ანგარიში არ წარმიდგენია და არც ხმა გამიცია და, რასაკვირველია, რომ ამას მოიწერებოდა; მაგრამ ჩემის აზრით ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ვისმე ბრძანებით ვიყო განთავისუფლებული მასწავლებლობისაგან.

შემდეგი თქვენი ქართული არ მესმის: —„რომ მისთვის (ესე იგი ჩემთვის) სასწავლებელს ტყვილათ არ ეძლია წელიწადში ორმოცი თუმანიო.“ თუ ვიარდი და ვასწავლიდი, ტყუვილათ რათ იქნებოდა? და თუ არ ვიარდი, ისრე ვინ მომცემდა ჯამაგირს? ის კი არა, ოთხი თვის, რომელიც ვიარე, ჯერაც არ მიმილია; კითხეთ უფ. შკოლის მზრუნველს; მაგრამ ამისთვის ის მე დიდად არ შემიწუხებია.

ერმილე ჩხენკელი

დ. ხონი, 3 აგვისტოს.

ომის შემდეგ

ოსმალეთი

სტამბოლიდამ იწერებიან შემდეგ ამბავს, რომელიც, უეჭველია, დიდად საინტერესო უნდა იყვეს სომხებისათვის:

„ოსმალეთის მთავრობამ სომხების პატრიარხს ნერსესს მისცა ნება, რომ შეკრიბოს წარჩინებული სომხები, შეადგინოს იმათგან კრება და ამ კრებამ გარდაწყვიტოს—თუ რა ცვლილება და რეფორმები არის საჭირო საზოგადოთ ოსმალეთის სომხებისათვის.

„ამბობენ, ისეთი ცვლილება უნდა შემოიღონო, რომ სომხეთის საზოგადო საქმეების წაყვანაში ოსმალეთის მთავრობას ძალიან ცოტა გავლენა ჰქონდესო.

„ამ მიზნის მისაღწევად კრებას იმედი აქვს, რომ რუსეთისა და ოსმალეთის მდიდარი სომხები ფულს შესწირვენ.

„ამნაირად, სომხებს იმედი მიეცათ, რომ ისინი აღადგენენ თავიანთ ნაციონალურ ერთობას, თავიანთ ხალხოსნობას, და ერთის სიტყვით, ოსმალეთის სახელმწიფოში დააფუძნებენ ცალკე, თავისუფალს, ოსმალეთისაგან თითქმის სრულიად დამოუკიდებელს სახელმწიფოს“.

— სტამბოლელი კორრესპოდენტი ბელგიურის გაზეთის „Indép. Belge“-ისა იწერება, რომ ამას წინათ გავრცელდა აქ ხმაო, ვითომც ინგლისის ელჩი ლეიარდი ცდილობსო, რომ დარდანელის წყლის მახლობლად რომელიმე ნავსადგური ჩაიგდოს ხელშიო. ეს ხმა ახლა გამართლდა: დაბეჯითებით ამბობენ, რომ ოსმალეთი ტენედოსის კუნძულს უთმობს ინგლისსა.

საფრანგეთი

რამოდენიმე ათასს პარიჟის იზვოსჩიკებს პირი მიუციათ ერთმანეთისათვის და აღარ გამოდიან ბირჟაზე, სანამ პატრონები არ დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებასაო. ეს მოთხოვნილება პარიჟის იზვოსჩიკებისა მდგომარეობს შემდეგ მუხლებში: დღეში 14 საათზე მეტი არ უნდა გვამუშაონ და ამას გარდა კვირაში ორი თავისუფალი დღე უნდა გვექნეს; იზვოსჩიკების ურთი-ერთ შემწეობის კასსა (ბანკი), რომელიც ამჟამად პატრონების (კამპანიის) ხელშია, თვითონ იზვოსჩიკების ამორჩეულს პირებს უნდა გარდაეცეს; ცხენებს უნდა მოემატოს საჭმელი და უკეთესი თავლები უნდა გაიმართოს იმათთვის; ყოველი უთანხმოება იზვოსჩიკებსა და პა-

---

გოგო, თმა გაწეწილი, აკვანს არწევს და თან დამღერის ნანას ტკბილათ ნაზის ხმით. ბუხარში პლუტონი (ცეცხლი) მხარულობდა, დიდი, მუცელა ქოთანი ლობიოთი სავსე დუდუნებს; აქვე მჭადიანი კეცებია აყოლებული; თუ ქადი არა, ღომი ხვნეშის ქვაბში—სადილი მზადდება. .

როდესაც კაცნი დაბრუნდებიან სახლში (უმეტეს ნაწილათ საღამოს დილით, კი კერძს უკზავნიან სახლიდგან), მაშინ რძალი, ანუ უფროსი ვინმე ქალი მოუმზადებს სუფრას, დაალაგებს მთელ-მთელ პურებსა ანუ მჭადს, თუ ღარიბი ოჯახია, დაუდგავს თითო სავსე ლობიოთი ჯამს;—იმერეთში კი ჩოგანით ამოიღებს ღომს და დაუდებს სამ-სამ ნაკეცა თვითეულ „ყაზახს“ დაბალ სუფრაზედ (გრძელი სკამის მგზავსია), და უსხამს ტრიალა თეფშზედ ლებუას.

„ტეტია“ ჩაჰყრის ლობიოში პურს, ჩააბუქბუქებს, მერე ბუნებითი კოვზით—სამი თითით სჯამს, იწუწნის ხელებს, ხან-და-ხან კი ჩოხაზედ ან ტყავზედ იწმენდს.

იმერელი „ყაზახი“ სულ სხვანაირათ შეექცევა: აიღებს ხელით კაი-ძალ ღომს, ცხელს, რასაკვირველია, ამოაწებს ლობიოში და ამ ნაირათ აგზავნის, სადაც გზა მიუძღვის. ქართლელი და კახელი ხანდისხან კოვზითაც მიირთმევს, თუმცა ხელით აღებული ლობიო უფრო გემრიელათ მიაჩნია; იმერეთში კი სირცხვილია პურის ჩაყრაც და კოვზითაც ჭამა ლობიოსი.

ხანდის-ხან ლობიოს გარდა სუფრას დაამშვენებს ყველი, და თუ ლობიო არ არის (მთლათ ღარიბის კაცის სახლში), მაშინ სჭამენ მაწონს, დოს, დო-შეჭამადს, იმერეთში—გადაზელილ ყველს, ნადუღს და სხვა.

გარდა ლობიოსი ქართველის სუფრაზედ გაჩნდებიან ზოგჯერ მუხუდო, ცერცვი, სხვა-და-სხვა მხალი, ეკალა (იმერეთში), კომბოსტოს და კიტრის წნილი, თასში ერთხელ ხორცეული, უმეტეს ნაწილად კი სამარხო.

მუშაობს გლეხი—სამარხოს სჭამს, სახლშია, ან უქმეა—მაშინაც სამარხო!

აბა დახვედით პატარა ბიჭს მინდორში, ან გოგოს, ძღაბს (იმერეთში), ციცას (გურიაში), რომელთაც ჯერი-ულუფა მიაქვსთ მუშებისათვის, და გაშინჯეთ მათი მინაქანი საგრძალი, რისგან შესდგება?—ნახამთ ლობიოს და კიდევ რამე სამარხოს, პურს, ან მჭადს, ანა და ღომს. თუ სალვინით ან დოქით ნუნუაც მიუტანეს მუშებს, მაშინ გლეხები „ოროველოსაც“ შემოსძახებენ, ან „ორიდელას“ (იმერეთში); მერე, დაკმაყოფილნი ისევ შეუდგებიან ოფლის წურვას.

უმეტეს ნაწილათ ჩვენი გლეხები სჭამენ სამარხო საჭმელებს, რომელთა შორის უპირატესობა აქვს ლობიოს. დაახლოებით რომ ვსთქვათ, წელიწადში ორას დღეს სჭამენ ლობიოს, ას დღეს სხვა სამარხოს და მხოლოდ სამოც დღეს ხორცეულს, ან სხვა სასხნილოს: თევზს, ქათამს, ყველს, მაწონს და სხვა, ხუთს დღეს—ცარიელა პურს.

აქ პატარა უნდა გავშორდე ჩემ პირდაპირ საგანს, საყვარელ დედა-ლობიოს, თუ არ მიწყენთ.

მ. მ—ნი

(გაგრძელება)

ტრონებს შუა გადაწყვეტილი უნდა იქნეს ისეთის სასამართლოსაგან, რომლის ნახევარ წევრებს შეადგენდეს პატრონები და ნახევარსაც თვითონ იზვოსჩიკები.

ბასული თვის დამლევს ერთს დიდს ზალაში 3,000 კაცამდინ იზვოსჩიკები შეკრებილან; ბევრი უპასნიათ თავის საზოგადო საქმეებზედ და ბოლოს ერთხმად გარდაუწყვეტიათ, რომ ზემო მოყვანილი პირობები წარუდგინონ თავის პატრონებს და სანამ დაკმაყოფილებული არ იქნებიან, მანამ არცერთმა არ მოჰკიდოს ხელი თავის საქმეს.

განცხადებანი

ბიბლ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

„ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა.
ფასი 15 კაპეიკი

იქავ ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუვიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.
ფასი ორი შაური.

მიხელსონის სტაქაგაში, რომელიც იმყოფება ბილავინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში, მიღებულია ყოველ ნაირი **ახალი ქართული შრიფტი,** ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტამბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

დაიბეჭდა და ისყიდება ბ. ჩარკვიანის **წიგნის მაღაზიაში** და თელავს— სასულიერო სასწავლებელში, უფ. ანციფეროვთან

„ბატონიშვილი ირაკლის
პირველი დრო
ანუ თავდადება ქართველთა“

ტრაგედია ოთხ მოქმედებად, თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

„კავკასიის წიგნის საეკლესიო მაღაზიაში“ (Кавказская Книжная Торговля), ტფილისის ხიდის თავში, ა. ზუბალოვის სახლებში ისყიდება:

1. „**სიბრძნე-სიცრუვის წიგნი**“ (ქართული არაკები დაზღაპრები მე-XVII და XVIII საუკუნისა) თხზულება **საბა-სულხან ორბელიანისა,** რუსულად ნათარგმნი და განმარტებული ალ. ცაგარელისაგან. პეტერბ. 1878.

ფასი თათო წიგნისა 1 მან. 50, გაგზავნით რვა აბაზი.

ისყიდება პარტიითა და თითო კულითაც **თამბაქო,** მახორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესსი: ბალერეი არწრუნი ა, № 146. ივანე ალხაზოვი.

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი კევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიღვილს, (ტუკიაში, ელისავეტინსკი-ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ანციფეროვთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძისა, იანე ქერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.
შეკრებილი და გამოცემული
ზაქარია ჭიჭინაძისა
ფასი ორი შაური.

ქუთაისში
ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) **დედა ენა,** ი. ბოგგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი,** ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია აღ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი,** შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი,** დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-ძოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“
კ. მესხისაგან.
ისყიდება: **თფილისში**—ყველა წიგნის მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბ ო ლ	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5.			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42

ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონ . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილ სი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.ნ	კაპ.
ოკი სიტყვა თფილ სიდ.მ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, ლუშეთს, სილნალს . .	—	50
როტოვს, ოდესს, მოსკოვ	2	—
პ ტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ , შვეიცარიაში.	3	—
იტალიაში და ს ფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუ სეთს— ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პ.რასკ. და ორშ. ქ ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფ ლისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზუ- გეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნა	4
დ ბ ჭდილს (ფ.მი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 10 აგვისტ.		
ფქვ. თფ. ბანჯგ.სა, ფთ.	2	—
ფ ვილი წ თელი . . .	1	60
ქერი ფუთი	1	35
ბამბა ერევ ისა, ფუთი	7	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	—
ბაპენტილი ბ ბმა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	30
— თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონ , ფუთი	6	—
ქონის სანთ ლი ფუთი .	8	80
სტეარინის სანთ ლი, ფთ.	12	60
ხორცი ძროხისა, ლიტ	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	50
—ფხვნილი ფუთი . . .	5	40
ყავა გრგვ ლი, ბირ. .	—	70
ხეთი ქუნჯუთი ა ფუთი.	14	—
თამბაქო, სუშ ლო ფთ.	12	—

თფილისის სამკურნალო	
ერევნ ს მაიდანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.	
ავთმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 8 საათ დამ 10-მდინ.	
ოზ ბ ბ ა თ ს: ვერ ი შ ე ვ ი ბ ა ო ლ ლ ე ვ ი ჩ ,—შ ნ ბ. ა ვ თ., ქ ი ფ ჩ ა ნ ც—თვ ლ ს ა ბ ხ ო ტ ბ ი ლ.	
ს ა ბ ბ ა ბ ა თ ს: ვ ერ მ ი შ ვ ი ——შ ნ ბ. ბ ქ ს ტ ი ე ნ ე ბ ლ ს ა ბ ა ნ ს ა ბ ბ ტ ი ბ ბ ბ